პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 142 (11448) | კვირა, 21 ივნისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

20 ივნისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მეგობრობის ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ვ. ულბრიხტი, ო. გროტეოლი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები გააცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ნ. გ. იგნატოვმა, ა. ი. კირიჩენკომ, ფ. რ. კოზლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, პ. ნ. პოსპელოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, მ. გ. პერვუხინმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებმა.

გერმანელი სტუმრების პატივსაცემად საფრენ მინდორზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

გაფრენის წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა და დიდი ბერლინის ობერბურგომისტრმა ფ. ებერტმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

10 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები იყვნენ, ჰაერში აფრინდა და კურსი აიღო ბერლინისაკენ. (საკდესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მოწვევით 1959 წლის 8-20 ივნისს საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაცია.

დელეგაციაში შედიოდნენ: ვალტერ ულბრიხტი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; ოტო გროტეოლი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ბრუნო ლაიშნერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე; ფრიდრიხ ებერტი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, დიდი ბერლინის ობერბურგომისტრი; ავგუსტ ბახი — სახალხო პალატის პრეზიდენტის მოადგილე, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე; დ-რი ჰანს ლოხი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე; პაულ შოლცი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე; ჰენრიხ ჰომანი — სახალხო პალატის პრეზიდენტის მოადგილე, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე; პროფესორი დ-რი ერიხ კორენსი — დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი; ალოის პისნიკი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მაგდებურგის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ჰაინც ვიტიგი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერის ოლქის კაუერნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე; ანი პოსელტი — საფეიქრო, სამკერვალო და ტყავის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე; პროფესორი დ-რი პეტერ ადოლფ ტისენი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბუნებისმეტყველო და ტექნიკური კვლევის საბჭოს თავმჯდომარე; პროფესორი დ-რი იოჰანეს ნელესი — ქიმიურ კომბინატ „ბუნას“ დირექტორი; ანა-მარია რამბაუმი — ქ. ბერლინის მე-19 საშუალო სკოლის დირექტორი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენელი; ბერნჰარდ ბიუჰნერი — ბიტერფელდის ელექტროქიმიური კომბინატის ბრიგადის ხელმძღვანელი; ჰაინც მიულერი — ქალაქ კარლ-მარქს-შტადტის მანქანათსამშენებლო მრეწველობის სახალხო საწარმო „მოდულის“ კარლ მარქსის სახელობის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი; იოჰანეს კენიგი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ესტუმრა ქალაქებს მოსკოვსა და გორკის, აგრეთვე უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. მას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა საბჭოთა კავშირის უახლეს ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ მიღწევებს. დელეგაციის წევრები იყვნენ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებსა და კულტურულ დაწესებულებებში. დელეგაციას მრავალი საუბარი და შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა კავშირის მუშებთან, კოლმეურნეებთან, მეცნიერებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან და ქალებთან, რაც გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამან ბევრი რამ ძვირფასი მისცა მათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისა და სოციალიზმის მშენებლობის ძლევამოსილად დამთავრებისათვის. დელეგაციის წევრები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხალხი ენთუზიაზმით ასრულებს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ცხოვრების ყველა დარგში განუხრელად მიდის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. თავის მხრივ პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები მოსკოვში, კიევში, გორკსა და რიგაში მეგობრობის მასობრივ მიტინგებზე წარმოთქმულ სიტყვებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მშრომელებთან საუბრებსა და შეხვედრებში განმარტავდნენ გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული აღორძინებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ყველა გერმანელი პატრიოტის ბრძოლის პრობლემებს, აცნობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია უწინარეს ყოვლისა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისაკენ, და ილაპარაკეს იმ უდიდეს მუშაობაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის ასაშენებლად, რასაც მშრომელები ეწევიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში შემავალი ყველა დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით.

ყველა შეხვედრა, საუბარი და მიტინგი, რომლებიც საბჭოთა კავშირში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტის გამო, დამაჯერებლად ადასტურებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა შეხედულებების ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას, აგრეთვე ორივე სახელმწიფოს ურღვევ კავშირს, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური პრინციპები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ერთად იყვნენ ქ. რიგაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ქ. კიევში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, ქ. გორკში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან, ამ შეხვედრებში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ნ. კოსიგინი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი. საუბრებს ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ი. ტ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოვალეობის შემსრულებლები ნ. მ. ლუნკოვი და ა. ი. პოპოვი.

ამ შეხვედრების დროს, რომლებიც გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, აგრეთვე საუბრებში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის სსრ კავშირის ქალაქებში დელეგაციის მოგზაურობის დროს განხილული იყო ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, რომლებიც შეეხება საერთაშორისო მდგომარეობას, ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფას, აგრეთვე მდგომარეობას გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ყოფნამ საბჭოთა კავშირში შესაძლებელი გახადა ყოველმხრივ განხილულიყო აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, განსაკუთრებით ეკონომიურ, მეცნიერულ და ტექნიკურ დარგებში. აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ ორივე მხარის შეხედულებანი ემთხვევა ერთმანეთს ყველა განხილულ საკითხში.

* * *

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ აზრთა გაზიარების დროს ძირითადი ყურადღება მიექცა იმ საკითხს, თუ რა გზები უნდა იქნას არჩეული ევროპაში დაძაბულობის საგრძნობი და ქმედითი შენელებისათვის.

ორივე მხარე აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა და უწინარეს ყოვლისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეული წრეები ცდილობენ ხელი შეუშალონ მომწიფებული საკითხების მოწესრიგებას, რომელიც საჭიროა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის. ეს წრეები, რომელთა ინტერესების გამომხატველია უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი, ყველაფერს აკეთებენ, რათა კვლავაც გააღვივონ „ცივი ომი“. ადენაუერი ცდილობს გაამწვავოს პოლიტიკური ვითარება გერმანიაში, ჩამოაგდოს უნდობლობა ევროპის სახელმწიფოებს შორის, ამასთან ეყრდნობა იმათ, ვინც ჯერ კიდევ ებღაუჭება „ძალის პოზიციის“ გაკოტრებულ პოლიტიკას. ამ მიზნებს ემსახურება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დამღუპველი მოქმედება, რომლის მიზანია ბუნდესვერის აღჭურვა რაკეტული და ატომური იარაღით.

მაშინ როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში, დასავლეთი გერმანია დაადგა მილიტარიზმის ძველ გზას და გახდა ევროპაში ომის საფრთხის ძირითადი კერა. ბონის მმართველი წრეები დასავლეთ გერმანიას აქცევენ აგრესიულ მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომელიც ბევრ რამეში ბაძავს ჰიტლერულ გერმანიას. მილიტარისტული და რევანშისტული ძალები არ მალავენ, რომ მათი აგრესიული გეგმები მიმართულია არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ მათი მადა ვრცელდება აგრეთვე ნატოში მათი საკუთარი დასავლეთევროპული მოკავშირეების ტერიტორიის ნაწილზე. ატომური იარაღით აღჭურვილი გერმანული მილიტარიზმი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ევროპის ყველა ხალხისათვის და მომავალდინებელ საფრთხეს თვით დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისათვის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამჟამად გამოდის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მთავარი მოწინააღმდეგის როლში და ჯიუტად ეწინააღმდეგება სადავო საერთაშორისო საკითხებზე დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევას. იგი უარყოფს ყველა წინადადებას, რომელთა მიზანია ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარება და ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოება.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები ქმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ „ცივი ომის“ მრავალი წლის შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდნენ გამართულიყო საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი ყველაზე აქტუალური საერთაშორისო საკითხების განსახილველად, რომლის მუშაობაში თანასწორი უფლებებით მონაწილეობას იღებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ორივე დელეგაცია მიესალმება იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დაშორდნენ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის უგულებელყოფის არარეალისტურ პოზიციას. ამით დასავლეთის სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ის საკითხები, რომლებიც გერმანიას ეხება აღარ შეიძლება განხილულ იქნას და გადაიჭრას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობის მიუღებლად, რომელიც თანმიმდევრულად იცავს გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. საბჭოთა მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობა ჟენევის თათბირში და მისი მშვიდობისმოყვარული სულისკვეთებით გამსჭვალული კონსტრუქციული წინადადებანი წარმოადგენენ მნიშვნელოვან წვლილს თათბირის მუშაობაში, აგრეთვე ხელს უწყობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები დარწმუნებული არიან, რომ არ შეიძლება მიღწეულ იქნას გერმანიასა და მთლიანად ევროპაში ვითარების ძირეული გაუმჯობესება, თუ გერმანიასთან არ დაიდო საზავო ხელშეკრულება და ლიკვიდირებულ არ იქნა საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში. საზავო ხელშეკრულების უქონლობა ზიანს აყენებს არა მარტო გერმანელ ხალხს, არამედ აგრეთვე ევროპის სხვა ხალხებს, მშვიდობის საერთო საქმეს.

ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და ამავე დროს გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარული დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული აღორძინების გაადვილების უმოკლესი გზაა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება რეალური ვითარების გათვალისწინებით. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რომლის პროექტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის განსახილველად, გადაწყვეტდა, ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილ გადაუჭრელ საკითხებს და ამავე დროს გახდებოდა ბარიერი ახალი ომის წინააღმდეგ.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება მოახდენდა ევროპის ცენტრში ახლანდელი საშიში მდგომარეობის ლიკვიდაციას, შექმნიდა საამედო დაბრკოლებას გერმანული მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ და უზრუნველყოფდა ევროპის ხალხთა უშიშროებას, რომლებსაც არაერთგზის განუცხადათ ტანჯვა გერმანელი მილიტარისტების აგრესიით. თუ გერმანიას საზავო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არ ექნება ატომური და რაკეტული იარაღი და ამით თავიდან აცილებულ იქნება დასავლეთ გერმანიის მილიტარისტების აღჭურვა ატომური იარაღით, მაშინ მოისპობა მთავარი დაბრკოლება ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისა და ურთიერთგაგების გზაზე, რაც გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს.

საზავო ხელშეკრულება შექმნიდა იმის საშინაო და საგარეო წანამძღვრებს, რომ გერმანიას შეეძლოს ღირსეული ადგილი დაიკავოს ხალხთა ოჯახში როგორც სუვერენულმა, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულმა სახელმწიფომ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები სინანულით აღნიშნავენ, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე არ მიიღო წინადადებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისა და დადების შესახებ. ამის ნაცვლად მათ წარმოადგინეს ეგრეთწოდებული წინადადებათა პაკეტი, რომელიც ერთ კვანძად ხლართავს მთელ რიგ რთულ პრობლემებს და ითვალისწინებს გერმანელი მილიტარისტების ბატონობის გავრცელებას ოდერამდე და ნოისემდე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების დაკანონებასა და განგრძობას, აგრეთვე მთელი გერმანიის შეყვანას ნატოში.

დასავლეთის სახელმწიფოებისა და ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობები ცდილობენ მათ მიერ საზავო ხელშეკრულების უარყოფა გაამართლონ იმის დამოწმებით, რომ გერმანია ჯერ არ გაერთიანებულა. მაგრამ მათი საკუთარი მოქმედება ცხადყოფს, რომ ისინი სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი გაერთიანებით. ადენაუერის მთავრობა დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერით დღემდე დაჟინებით აბრკოლებს ორივე გერმანული სახელმწიფოს ყოველგვარ დაახლოებასა და ურთიერთგაგებას, ურომლისოდაც გერმანიის გაერთიანება შეუძლებელია.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები აცხადებენ, რომ ისინი კვლავაც იბრძოლებენ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის. ორივე მთავრობას მიაჩნია, რომ ამ ამოცანის საუკეთესო გადაჭრა იქნებოდა საზავო ხელშეკრულების დადება სრულიად გერმანიის მთავრობასთან ან სხვა უფლებამოსილ ორგანოსთან, რომელიც მთელი გერმანიის წარმომადგენელი იქნება. მაგრამ თუ რეაქციული ძალები განაგრძობენ გერმანელთა დაახლოებისა და გერმანიის გაერთიანების პრაქტიკული ღონისძიებებისათვის დაბრკოლებათა შექმნას, საზავო ხელშეკრულება, რომელიც მოახდენს გერმანიაში ახლანდელი არანორმალური მდგომარეობის ლიკვიდაციას, დადებულ უნდა იქნას ორ არსებულ გერმანულ სახელმწიფოსთან. ამ შემთხვევაში, თუ საზავო მოწესრიგება ამ საფუძველზეც ჩაშალეს აგრესიულმა წრეებმა, საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ხელს მოაწერენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ამისი თანახმა იქნებიან და რომლებიც დაინტერესებული არიან გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგებით და ამასთან ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებით. რა თქმა უნდა, ამასთან მოქმედებას შეწყვეტენ ის აქტები და დებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ გერმანიის კაპიტულაციიდან ან წარსულ ომში სამხედრო დამარცხებიდან.

საბჭოთა კავშირი გულწრფელად მიესალმება გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული აღორძინების კონსტრუქციულ პროგრამას, რომელიც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეიმუშავა და რომელიც ითვალისწინებს ორივე გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნას, როგორც გადამწყვეტ ნაბიჯს გაერთიანების გზაზე. გერმანიის გაერთიანება წარმოადგენს გერმანელი ხალხის საშინაო საქმეს, რომელშიც არავითარი სხვა სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოება და მჭიდრო თანამშრომლობა გერმანელი ხალხის მშვიდობის განმტკიცებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საერთო ბრძოლის ნიადაგზე ის გზა იქნება, რომელიც, მიუხედავად დაბრკოლებებისა, შექმნის გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობას.

სსრ კავშირის დელეგაცია იზიარებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის აზრს, რომ ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების დადება ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და შეთანხმების დადება იმის შესახებ, რომ ორივე გერმანულმა სახელმწიფომ უარი თქვას ატომური და რაკეტული იარაღის წარმოებაზე, შეძენასა და ფლობაზე, წარმოადგენს უახლოეს დიდმნიშვნელოვან ნაბიჯებს ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისა და ევროპაში „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები კვლავ აცხადებენ, რომ მათ შეუწყნარებლად მიაჩნიათ ის მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, რომელიც იქ შეიქმნა ოკუპაციის რეჟიმის შენარჩუნების შედეგად. დასავლეთი ბერლინი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს, გახდა ევროპაში კონფლიქტების საშიში კერა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიულ-ძირგამომთხრელი საქმიანობისა და მტრული პროპაგანდის ცენტრი. ორივე სახელმწიფოს მთავრობანი გადაჭრით

(დასასრული მე-2 გვ.)

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

20 ივნისს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მეორე დღეს გრძელდებოდა განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენებისა „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში“.

კამათში გამოვიდნენ: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. **დ. ა. ივაშჩენკო,** საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. **რ. ა. მარგიანი,** ამხ. **ი. რ. ხვედელიანი.**

შემდეგ პლენუმი შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას: „1959 წელს სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. გ. ჩიქოვანმა,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **დ. მ. მამულაძემ,** სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ს. გ. თიბილოვმა,** საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. ი. კეჩხუაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **აკ. ასათაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. ა. ხუსკივაძემ,** საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ა. კ. მაკაროვმა.**

კამათში მოხსენებათა გამო გამოვიდნენ წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ნ. პ. მამაიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **მ. კ. ყულიევი,** თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ა. პ. გრეჩკინი,** საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **შ. პ. ქუტიძე,** საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ხ. ა. ავიძბა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **პ. ვ. კოვანოვი,** საქართველოს კომპარტიის სამგორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **დ. ვ. გელაშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძე.**

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

დაწვრილებითი ანგარიში პლენუმის მუშაობის შესახებ დაიბეჭდება გაზეთის უახლოეს ნომრებში. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ

(დასასრული)

უარყოფენ დასავლეთის სახელმწიფოთა ცდებს — ამ დიდი ხნის მომწიფებული საკითხის მოწესრიგების ნაცვლად საოკუპაციო რეჟიმი გაავრცელონ მთელ ბერლინზე.

ორივე ქვეყნის მთავრობანი ადასტურებენ, რომ მზად არიან და გულწრფელად ისწრაფვიან ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსთან ერთად გამონახონ დასავლეთ ბერლინის საკითხის ურთიერთმისაღები გადაჭრა. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ახლანდელ პირობებში ბერლინის საკითხის საუკეთესო გადაჭრა გერმანიის გაერთიანებამდე იქნებოდა დასავლეთ ბერლინისათვის დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის სტატუსის მინიჭება, რომელიც ზიანს არ მიაყენებდა დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის უფლებებსა და იქ არსებული ცხოვრების წესს, რომელიც განირჩევა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული სოციალურ-ეკონომიური პირობებისაგან. თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის დამოუკიდებელი არსებობა და მისი დაუბრკოლებელი ურთიერთობა გარესამყაროსთან, ისევე როგორც მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა ვისი მხრითაც უნდა იყოს, საიმედოდ უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობით. გადაწყვეტილება დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის შექმნის შესახებ, რაც რაიმე უპირატესობას არ მისცემს არც ერთ მხარეს, ამასთან ერთად მოახდენდა საერთაშორისო დაძაბულობის საშიში კვანძის ლიკვიდაციას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ჯეროვანი ფორმით გააკეთოს განცხადება, რომელიც უზრუნველყოფს დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის სტატუსის ხელშეუხებლობასა და გარესამყაროსთან მისი ურთიერთობის თავისუფლებას.

დასავლეთის სახელმწიფოებს არ განუცხადებიათ, რომ მზად არიან დათანხმდნენ დასავლეთ ბერლინის საკითხის ასეთ გადაჭრაზე. იმისათვის, რომ შეამსუბუქონ სადავო საკითხების ერთობლივი გადაჭრა და გადადგან ნაბიჯი დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციისაკენ, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები აცხადებენ, რომ მზად არიან დაეთანხმონ გარდამავალი პერიოდის დაწესებას, რომლის განმავლობაში დასავლეთ ბერლინში უნდა განხორციელდეს მთელი რიგი საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც შექმნიან ბერლინის მდგომარეობისა და მის მოქალაქეთა ცხოვრების ნორმალიზაციის წანამძღვრებს. ასეთი ღონისძიებებია: უცხოეთის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირება დასავლეთ ბერლინში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ დასავლეთ ბერლინიდან მტრული პროპაგანდისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის შეწყვეტა, დასავლეთ ბერლინში ატომური და რაკეტული იარაღის განლაგებაზე უარისთქმა. ეს კარგი დასაწყისი იქნება იმ საკითხების გადაჭრაში წინსვლისათვის, რომლებიც გერმანიას ეხება.

აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული პერიოდის მანძილზე სრულიად გერმანიის კომიტეტმა ან ორი გერმანული სახელმწიფოს თანხმობით შექმნილმა სხვა გერმანულმა ორგანომ უნდა მიაღწიოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხებზე. ამ პირობებში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები მზად არიან დათანხმდნენ, რომ დროებით შენარჩუნებულ იქნას გარკვეული ვადის განმავლობაში დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო უფლებები დასავლეთ ბერლინის მიმართ და დადონ შეთანხმება დასავლეთ ბერლინის დროებითი სტატუსის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები სინანულს გამოთქვამენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს დღემდე არ გამოუჩენიათ სურვილი საქმიანად განიხილონ ეს კონსტრუქციული წინადადებანი. მათ მიერ ამ წინადადების წინააღმდეგ წამოყენებული მოსაზრებები ხელოვნურია. მთავარ მოსაზრებად წამოყენებულია საკითხი დასავლეთ ბერლინის შესახებ გათვალისწინებული დროებითი შეთანხმების მოქმედების ვადისა და სრულიად გერმანიის კომიტეტის შესახებ. მაგრამ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებათა არსია საზავო ხელშეკრულების მომზადება, დასავლეთ ბერლინში არანორმალური მდგომარეობის თანდათანობითი ლიკვიდაცია და გერმანიის გაერთიანების ღონისძიებათა განხორციელება. ვადების საკითხი პრინციპული საკითხი არ არის, დასავლეთის სახელმწიფოები გულწრფელად რომ ესწრაფოდნენ შეთანხმების მიღწევას, ძნელი არ იქნებოდა შეთანხმება ვადების საკითხზე, რომელიც არ უნდა ყოფილიყო დაბრკოლება შეთანხმების გზაზე, რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოებმა თავიანთ წინადადებებში თვითონ დაასახელეს განსაზღვრული ვადები იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც გერმანიას ეხება.

დასავლეთის სახელმწიფოები საქმიანი მსჯელობის ნაცვლად კვლავ დაჟინებით მოითხოვენ, კერძოდ, საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებას დასავლეთ ბერლინში. საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არ დათანხმდებიან, რომ განუსაზღვრელი ხნით დაადასტურონ საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნება დასავლეთ ბერლინში, და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ, რათა რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას ის არანორმალური ვითარება დასავლეთ ბერლინში. რომელმაც საფრთხე შეუქმნა ევროპის მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები ხაზს უსვამენ იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი უმაღლეს დონეზე თათბირს ყველაზე მომწიფებული საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების საქმეში, მათ შორის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხში. ასეთი თათბირის მოწვევით დაინტერესებულია ყველა მთავრობა, რომელიც მხარს უჭერენ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. თუ მთავრობათა მეთაურები იხელმძღვანელებენ მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებით, თათბირზე შეხვედრისას შეძლებენ ბევრი საკითხი გადაჭრან მშვიდობის სასარგებლოდ, ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

განხილულ იქნა აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საერთაშორისო საკითხები. ორივე ქვეყნის დელეგაციები გმობენ ნატოს აგრესიული ბლოკის მონაწილე სახელმწიფოთა მოქმედებას, რომელიც მიმართულია იტალიისა და საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის რაკეტული და ატომური ბაზების დაჩქარებით შექმნისაკენ. მხარეები ხაზს უსვამენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მომწიფებული საკითხი, რომელიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ და სავსებით შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია იზიარებს იმ აზრს, რომ შეუწყნარებელია ამ საკითხის გადაჭრის გაჭიანურება, საკითხისა, რომელიც აღელვებს მილიონობით ადამიანს მსოფლიოში.

აზრთა გაზიარების დროს მხარეებმა ყურადღება მიაქციეს ნატოს სარდლობის ცდებს — გადააქციოს ბალტიის ზღვა ამ აგრესიული ბლოკის სამხედრო-საზღვაო ძალების პლაცდარმად. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები მოუწოდებენ ბალტიისპირეთის ყველა ქვეყნის მთავრობებს გადააქციონ ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვად, ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ ზონად, რომელშიც არ უნდა იყოს სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ბაზები. საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივას იმის შესახებ, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა ურთიერთ შორის დადონ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებანი, რამდენადაც ეს დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

* * *

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები გამოთქვამენ გულწრფელ კმაყოფილებას იმით, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე, მჭიდრო ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საწყისებზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხის დიადი მიღწევები მკაფიო მაგალითია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისათვის მათი საკუთარი ამოცანების გადაჭრის დროს სოციალისტური მშენებლობის საქმეში, განსაკუთრებით იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში დამაჯერებლად დაამტკიცონ, სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალისტური ბატონობის წინაშე დასავლეთ გერმანიაში, დაეწიონ და გაუსწრონ დასავლეთ გერმანიას ერთ სულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანესი სასურსათო საქონლისა და თბილი მოხმარების საქონლის მოხმარების მხრივ.

დელეგაციები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გერმანიის და გარკვეულ წილად აგრეთვე ევროპის მდგომარეობაზე მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების აზრით ახლანდელ პირობებში მთავარ გავლენას ახდენენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებანი იმ ეკონომიური ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დასახულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის დადგენილებებით. ამ ამოცანის გადაჭრას მნიშვნელოვნად უჭერს მხარს ძმური თანამშრომლობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ქმედითი დახმარება.

ორივე დელეგაცია ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის 1957 წლის აგვისტოში შეთანხმებული ღონისძიებანი ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის წარმატებით არის შესრულებული. დადებულია ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ. მნიშვნელოვნად გადიდდა საქონლის ურთიერთ მიწოდება და შემუშავებულია საქონლის მიწოდების პერსპექტიული გეგმები 1965 წლამდე. ყოველ წელს იზრდება საქონელბრუნვა ორივე ქვეყანას შორის. 1959 წელს საქონლის ურთიერთმიწოდება გადააჭარბებს 7 მილიარდ მანეთს.

გაიმართა მოლაპარაკება ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ. მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ წელს დაიდოს გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება 1965 წლამდე.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ უკანასკნელ ხანს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მნიშვნელოვნად გაფართოვდა ურთიერთ ინფორმაციის გაცვლა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და თანამშრომლობის შესახებ საკონსტრუქტორო სამუშაოთა დარგში. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ქიმიური მრეწველობის დარგში უფრო მჭიდრო კოოპერაციის უზრუნველყოფისათვის, რაც შესაძლებლობას იძლევა გადიდდეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის.

მოლაპარაკების მსვლელობაში გაიმართა აზრთა გაზიარება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კოოპერირების გაფართოების შესახებ და მიღწეულია შესაბამისი შეთანხმება. ამავე დროს მიღწეულია შეთანხმება უშუალო კონტაქტებისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების შესახებ ორივე ქვეყნის მსხვილ საწარმოებს შორის.

ორივე მხარე იმ აზრისაა, რომ შეიქმნა პირობები და მომწიფდა საჭიროება შემოღებულ იქნას ეკონომიურ დარგში სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობის უფრო მაღალი ფორმები, როგორც ეს გათვალისწინებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს გადაწყვეტილებებით. ამოცანა ის არის, რომ გადიდდეს შრომის ნაყოფიერება სოციალისტურ ქვეყნებში ისეთი ტემპებით, რომ ისტორიულად მოკლე ვადაში საბოლოოდ უზრუნველყოფილ იქნას სოციალიზმის ყოველმხრივი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

მოხდა აგრეთვე აზრთა გაზიარება კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქმიანი კონტაქტების გაფართოებას ცალკეულ კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შორის. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურისტთა რიცხვი საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის ტურისტთა რიცხვი — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ორივე ქვეყნის მშრომელები სულ უფრო მეტად ეცნობიან ერთმანეთის ცხოვრებას. ამასთან მიღებულ გამოცდილებას იყენებენ თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში.

ორივე მხარე აცხადებს. რომ ისინი მომავალშიც არ დაიშურებენ ძალღონეს იმისათვის, რომ განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარებული გულითადი ძმური მეგობრობა, მიაჩნიათ რა, რომ ასეთი ურთიერთობა დიდმნიშვნელოვანი წვლილია ევროპის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ მუდამ იზრდება და მტკიცდება ერთიანობა სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საერთო იდეებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ძმური ურთიერთ დახმარებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ერთობლივი ბრძოლის პრინციპებით. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა განაცხადეს, რომ ისინი კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ სოციალისტური ბანაკის ერთიანობას, რადგან ეს ერთიანობა მიაჩნიათ თავიანთი ქვეყნების მშვიდობიანი განვითარების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საიმედო გარანტიად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებს საჭიროდ მიაჩნიათ განსაკუთრებით აღნიშნონ ის დიდმნიშვნელოვანი როლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში, აგრეთვე გერმანელთა დაახლოებისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში, რასაც ასრულებს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი, რომელიც აერთიანებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებსა და მოსახლეობის მასობრივ ორგანიზაციებს. დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი და მასში შემავალი პარტიები და ორგანიზაციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში ქმნიან საჭირო წანამძღვრებსა და შესაძლებლობებს იმისათვის, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი საზოგადოების შექმნაში, რომელშიც სავსებით გამოვლინდება შრომისმოყვარე და ნიჭიერი გერმანელი ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალები.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა მოლაპარაკების დროს, რაც გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა ინფორმაციის გაცვლა ორივე პარტიის მუშაობის შესახებ და აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის შემდგომი ძმური თანამშრომლობის შესახებ. განხილულ იქნა აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აქტუალური საკითხები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს 1957 წლის აგვისტოში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაფართოვდა ორივე პარტიის ძმური თანამშრომლობა, ხორციელდება აზრებისა და ინფორმაციის სისტემატური გაზიარება უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც ორივე პარტიას აინტერესებს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისათვის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ამ ხანაგი. ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრო ბერლინში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობას როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, და მის მიერ ლაიპციგის ბაზრობის დათვალიერებას 1959 წლის მარტში.

ორივე პარტიას თავის დიდმნიშვნელოვან მოვალეობად მიაჩნია კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ურღვევი სოლიდარობა, შეინარჩუნონ ძმური კავშირი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის.

ორივე პარტიის წარმომადგენლები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ საჭიროა გერმანიის მუშათა კლასის, მთელი გერმანელი ხალხის მოქმედების ერთიანობა გერმანული მილიტარიზმისა და ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. გერმანიის მუშათა კლასის მოქმედების ასეთი ერთიანობა იქნებოდა ის მაორგანიზებელი ძალა, რომელიც ხელს შეუწყობდა გერმანელი ერის ყველა პატრიოტული ფენის გაერთიანებას მშვიდობისმოყვარულ დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანების ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიდ ღონისძიებებს, რომელთა მიზნია დამყარდეს მოქმედების ერთიანობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშათა კლასს შორის, მის პარტიებსა და ორგანიზაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, როგორც ეს კვლავ ხაზგასმით აღინიშნა მოლაპარაკების დროს, კვლავაც განუხრელად დაიცავენ პარტიული რიგების ლენინურ ერთიანობას და გადაჭრით იბრძოლებენ ყველა დაყოველგვარი ცდის წინააღმდეგ — დაირღვეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საბრძოლო ერთიანობა. ორივე პარტიას საჭიროდ მიაჩნია კვლავაც შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ რევიზიონიზმის გამოვლინების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. ამასთანავე ისინი და გადაჭრით იბრძოლებენ ყოველგვარი სექტანტობისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ მასებისაგან მოწყვეტას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები ერთსულოვანი არიან იმაში, რომ დაუცხრომლად უნდა წარმოებდეს გადამწყვეტი ბრძოლა იმპერიალისტური წრეების მისწრაფების წინააღმდეგ — შეიტანონ გათიშვა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, ძირი გამოუთხარონ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებს მთელ მსოფლიოში მზარდ ავტორიტეტს კომუნიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ლაშქრობის გზით. მათ ორივე პარტიის მოვალეობად მიაჩნიათ შემდგომში განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების საბრძოლო ერთიანობა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმური სოლიდარობა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიულ როლს, რომელიც, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროს, მსოფლიოში პირველ სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისას და სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის პერიოდში მშრომელთა მასების ბელადი და ორგანიზატორი, აღიარებული ნიმუში გახდა ყველა სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მიაჩნიათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასის საიმედო და ნაცად ავანგარდად, გერმანელი ხალხის ბედნიერი სოციალისტური მომავლისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ ორივე პარტიას შორის არსებული ძმური კავშირი. მტრების ვერავითარი ხრიკები ვერ შეასუსტებს ორივე პარტიის თვალსაზრისთა და მოქმედების ერთიანობას, ისევე როგორც მათი ერთიანობას სხვა ქვეყნების მოძმე პარტიებთან.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე პარტიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ ურთიერთ ინფორმაციის გაცვლისა და პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარების დარგში. აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასსა და მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის გაფართოების დარგში.

* * *

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში მკაფიო დემონსტრაციაა ორივე ქვეყნის მჭიდრო კავშირისა სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა და ხალხთა დიად ოჯახში, ბანაკისა, რომლის ერთიანობა დარაზმულობა ურღვევია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც განამტკიცებენ ძმურ მეგობრობას ორივე ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ, ყველა სოციალისტური სახელმწიფოსა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის.

ნ. ხრუშჩოვი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულბრიხტი,
გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ო. გროტევოლი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, 1959 წლის 19 ივნისი.

19 ივნისს კრემლში

მძლავრი სოციალისტური ბანაკის ძალების ურღვევი ერთიანობისა და მჭიდრო შეკავშირების ტრიუმფი იყო მოსკოველთა შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებთან 19 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში.

დარბაზში იმართება მჭუხარე ოვაცია, როცა პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ვ. ულბრიხტი, ო. გროტეოლი, ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუზნეცოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერეგუდინი, დ. ს. პოლიანსკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

მიტინგი გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. უსტინოვმა, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში გულითადად მიესალმა ძვირფას გერმანელ სტუმრებს.

მოსკოვის მშრომელთა სახელით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს მიესალმნენ აგრეთვე ქარხანა „ალუმინიის“ მუშა ა. ვ. პონომარიოვი, მოსკოვის ოლქის ლენინური რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. მ. ქიტკოვი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ე. მ. ალექსანდროვა, ახალგაზრდა მეგობარქალი ი. ვოლკოვი.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრეებმა მჭუხარე ოვაცია გაუმართეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალე სალამის სიტყვებით მიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს და თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც წელს თავისი არსებობის 10 წლისთავს აღნიშნავს, არის მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების ბურჯი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათი წლის არსებობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის არის, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ მან უჩვენა გერმანელ ხალხს მშვიდობიანი განვითარების რეალური შესაძლებლობა, უჩვენა, რომ გერმანელ ხალხს შეუძლია იცხოვროს და გაიფურჩქნოს ისე, რომ არ მიმართოს ომის საშუალებებს. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშეა დასახული, არის, ბრძოლა მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის. გერმანელი ხალხის ისეთი ბვეთითარების უზრუნველყოფა, რომელიც გამორიცხავს გერმანიის გადაქცევას ახალი ომის კერად.

აღნიშნა რა, რომ უკანასკნელი დროის ამბები მოწმობენ, რომ გერმანიის მილიტარიზმის საფრთხე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ღღითიღე იზრდება, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ არ შეიძლება ფფალი დავხუჭოთ და არ დავინახოთ, თუ რა საფრთხეს შეიცავს მშვიდობისათვის ახლანდელი ვითარება დასავლეთ გერმანიაში, და ამატომ საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა თავიდან ავიცილოთ ეს საფრთხე.

შეეხო რა საგარეო საქმეთა მინისტრების ქენევის თათბირის მუშაობას, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად მთავარი საკითხები, რომელთა გადაჭრაზე ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, უწინარეს ყოვლისა არის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია დასავლეთ ბერლინში.

იმ შემთხვევაში, თუ აგრესიული და რეაქციული წრეები წინააღმდეგობას გაუწევენ საზავო ხელშეკრულების დადებას, ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან, განაცხადა ხრუშჩოვმა, მაშინ სხვა არაფერი დაგვრჩენია. რომ ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა რწმენა, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირი გაიმართება, რადგან ამას მოითხოვს შექმნილი ვითარება. ბოლოს და ბოლოს, თქვა მან, მთავრობები ხალხებს ზეგავლენით იძულებულნი იქნებიან დაეთანხმონ თანამედროვეობის ყველაზე მომწიფებული საკითხების გადაჭრას. გამოძებნონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ეფექტიანი გზებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, განაცხადა მან, რომ ხალხთა ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისათვის თავიდან აგვაცილებს ახალი ომის ხანძარს.

მიტინგის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ულბრიხტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ო. გროტეოვოლს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

მეგობრობის მიტინგი დამთავრდა კრემლის სასახლეში კვლავ და კვლავ ქუხს ტაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის პატივსაცემად.

გამოფენა გახსნილია.

ვესწუმროთ, ვისწავლოთ!



ხალხთა მეგობრობის მოედანი მართლაც რომ ამართლებს თავის სახელწოდებას. აქ სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენის გახსნაზე მოსკოველ მშრომელებთან ერთად სტუმრად მოვიდნენ თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

არა, ისინი სტუმრები არ არიან. ეს სიმდიდრე, ეს ბარაქა, ჩაქუჩისა და ნამგლის დოვლათი, შრომის შესანიშნავი ნაყოფი, დაწყებული სმინდოს ახალი ჰიბრიდული ჯიშით და დამთავრებული მზის ხელოვნური თანამგზავრით, — მათ მიერ არის შექმნილი. ეს გამოფენა საბჭოთა ადამიანის შრომის ჰიმნი. მისი მარჯვენის ქებათაქებაა.

ხალხის ნაკადი დაუსრულებლად მიისწრაფის სამოცდათერთმეტივე პავილიონისაკენ. და 18 პავილიონი ხომ სულ ახლად არის შექმნილი. რამდენ ამაღელვებელს, რამდენ საინტერესოს ნახულობენ ამ პავილიონებში მოსული ადამიანები. რადიოელექტრონიკის პავილიონში შესვლა ხალხის სიმრავლის გამო ძალიან ძნელია. დგას ამ პავილიონის თავისებური შენობა, როგორც უზარმაზარი კოსმიური ხომალდი, რომელიც თითქოს ეს-ეს არის დაფრენილა გამოფენის ვრცელ ტერიტორიაზე და ჩამოუტანია ამბები კოსმოსიდან, რადიოტალღებისა და ელექტრონიკის სამყაროდან.

და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. აქ ნახავთ ყველაფერს ახალსა და კარგს, რაც საბჭოთა ადამიანს შეუქმნია, საავიაციო ტექნიკის მშვენებას — „ტუ 104 ა"-ს თუ კრასნოიარსკის მომავალი ჰესის მოდელს, ელექტროფიკაციის თუ ქიმიური მრეწველობის სასწაულებს, მეცნიერების პავილიონის საუცხოო ნიმუშებს...

საქართველოს პავილიონი... გამოფენის გახსნის პირველივე დღეებიდან არ წყდება ხალხის ნაკადი ამ პავილიონისაკენ. აქ წარმოდგენილია საქართველო თავისი მიღწევებით, თბილისური ჩარხებით და ქუთაისური ავტომანქანებით, ჩაით, ყურძნით, ციტრუსებით, და მნახველები ერთხელ კიდევ რწმუნდებიან, რომ საქართველო მარტო ჩაისა და ყურძნის რესპუბლიკა როდია. იგი უშვებს შესანიშნავ ელმავლებს და განზრახული აქვს უახლოეს დროში გაუსწროს საფრანგეთს ელმავლების გამოშვებაში.

ერთნაირი სიამაყის გრძნობით ათვალიერებენ ექსპონატებს სტუმრებიც და ისინიც, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ დოვლათისა და სიუხვის შექმნაში.

აი რუსთავისადმი მიძღვნილ სტენდს უახლოვდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილგლინავი საამქროს უფროსი, ახალგაზრდა ინჟინერი პ. წერეთელი.

— რა სასიამოვნოა, — ამბობს იგი, — რომ ნახულობ შენი საკუთარი ხელით შექმნილ პროდუქციას, რომ სხვებთან ერთად შეეხარი ქართული მეტალურგიის გამარჯვებას, ნახულობ თუჯსა და მარტენის ფოლადს, ფურცლოვან ნაგლინს, წვრილსორტულ რკინას. ეს ხომ ჩვენი სახელოვანი მეტალურგების მიერ არის შექმნილი.

ექსპონატების, დიაგრამების, სქემების თავზე ყურადღებას იპყრობს ცნობილ ადამიანთა შვიდწლედის ნამდვილ გმირთა დიდი პორტრეტები. აი თუნდაც კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები ა. ძამაშვილი და ს. ფანცულაია რუსთავიდან, შ. ჩადუნელი თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნიდან, ქვანახშირის მონგრევის ოსტატი შ. კუბლაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგავა, მოწინავე მევენახეები გურჯაანის რაიონიდან ი. აბაშიძე და გ. დიმელიშვილი...

აქ, ამ საინტერესო ციფრებსა და დიაგრამებში მოჩანს ხვალინდელი საქართველო, უფრო აყვავებული, მშვენიერი და მხრებგანიერი. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ციფრს: 1965 წელს ჩაის საერთო ფართობი რესპუბლიკაში 70.000 ჰექტარი იქნება იუწყება სტენდი. შვიდწლედის ბოლოს რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობა 7.000 კილოგრამი იქნება, ხოლო მეჩაიე ტატიანა ჩხაიძემ შარშან ოთხი ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე უკვე მოკრიფა 10.000 კილოგრამი ჩაი! ასეთი ადამიანებით, რომლებითაც მთელი რესპუბლიკა ამაყობს, ჩვენ შეგვძლებთ ვადაზე ადრე შეასრულოთ შვიდწლიანი გეგმის დიდებული ამოცანები. ჩაის მრეწველობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის მშვენიერი მოწმეა ქართველი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ჩაის საკრეფი მანქანა, რომელსაც მნახველი აღტაცებაში მოჰყავს.

პავილიონის სტენდებზე ჩანს ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში, უმაღლესი სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმათლებლო სკოლების ქსელის განვითარება.

შთაბეჭდილებათა წიგნში უკვე გაჩნდა პირველი ჩანაწერი: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!"

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. ნათქვამია ის, რომ საამაყოა მშობლიური ქვეყნის წარმატებები, რომლებიც ასე თვალნათლივ ბრწყინავს მოსკოვის ცისქვეშ. საამაყოა ისიც, რომ იკუთვნოდ ხალხთა იმ დიდ ოჯახს, რომელმაც სახელოვანი შრომით ასეთი დიდებული გზა განვლო კავიდან ხელოვნურ პლანეტამდე. შრომის ჰიმნი, დიდების ჰიმნი, — ასე შეიძლება ეწოდოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას მოსკოვში...

ს. არღუნელი.

მოსკოვი.

* * *

სურათზე: საქართველოს სხრ პავილიონში. მნახველნი ათვალიერებენ ქუთაისის ავტოქარხნის მიერ გამოშვებულ მცირეგაბარიტიან ტრაქტორ „რიონს".

ეგვიპტესა და სირიაში

წერილი მეოთხე

5.

კაიროში ჩასვლის შემდეგ ლუქსორისაკენ გავემგზავრეთ. პატარა, მაგრამ სუფთა და მოვლილ ვაგონებში ჩავსხედით. მატარებლის მოძრაობისას ძალიან დიდი მტვერი დგება, ვაგონის კუპეებში კი მტვრის ნასახიც არ არის. კარგად მოწყობილი ვენტილაცია ერთი მხრივ თუ პაერს წმენდს, მეორე მხრივ განუწყვეტლივ გვაწვდის გრილ ნიავს სიცხით მოთენთილებს.

დილით ლუქსორში ჩავედით, ტურისტებით სავსე პატარა ქალაქში. სასტუმრო „ლუქსორში" მოგვათავსეს. იგი ევროპულად მოწყობილი კომფორტაბელური სასტუმროა. როცა დილაგდით, სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ ერთ ჩვენს ამხანაგს ოქროს საათი დარჩენოდა ვაგონში. ძალიან დაგვამწუხრა ამ ამბავმა, მაგრამ რას ვიზამდით, ხელიირი დავიბანეთ და სასადილოში შევედით. ყველგან წესრიგი და სისუფთავეა, ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვნი. ერთია მხოლოდ, სწორედ სასადილო მაგიდების პირდაპირ ჭერზე განუწყვეტლივ დასრიალ ებ ენ მწვანე პატარა ხვლიკები.

— ხვლიკს არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია, — გვეუბნება არაბი მიმტანი, — დიდი-დიდი წვნიან თეფშში ჩაეარდეს, თუმცა, — დასძენს იგი, — ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. მიუხედავად ამ დამშვიდებისა, ხვლიკების მიერ ჩვენი თეფშების შებილწვის შიში ერთ წუთსაც არ მოგვშორებია იქ ყოფნის პერიოდში.

საუზმის დამთავრებისთანავე ლუქსორის სიძველეთა დასათვალიერებლად გავეშურეთ.

სასტუმროდან 4-5 კილომეტრის მანძილზე მოასფალტებული გზაა. ამ გზას სფინქსების გზას უწოდებენ. იგი სფინქსებიან მოედანთან წყდება. აქედან იწყება კარნაკის ტაძრის ნანგრევები, უძველესი ხუროთმოძღვრების უდიდესი ნაშთი, მსოფლიოს ერთერთი უდიდესი საკვირველება.

შევდივართ ამონ-რას ტაძარში. ჩვენს წინ დიდი სვეტებიანი დარბაზია. მკითხველებს ემახსოვრებათ ფილმი „ბრძოლა ელზე". ფილმის მთელი რიგი სცენები ამ სვეტებიან დარბაზშია გადაღებული.

სვეტებიან დარბაზს რომ გასცდებით, თქვენს წინ ტაძრის მაღალი კედელი აღიმართება. მთელი კედელი დაფარულია იეროგლიფებითა და მხატვრობით, რომლებიც ფარაონთა ცხოვრების ღირსშესანიშნავ მომენტებზე მოუთხრობენ მნახველებს.

ისე გამიტაცა სანახაობამ, რომ ვერ ვიგრძენი, თუ როგორ დამწვა მზემ. მეგობართა ხმა შემომესმა, ისინი ქვემოთ ჩასულიყვნენ და პალმების ჩრდილში იკრიბებოდნენ. უცებ ჩვენსკენ მომავალი ოფიციანტი შეეგებშენ. იგი მე მომახლოვდა, არაბულ ენაზე რაღაც მოთხრა, მაგრამ ვერაფერი გამიგებინა. მაშინ მან პალმების ქვეშ შეგროვილი ჩვენი ჯგუფის წევრებისაკენ გასწია. მეც უკან მივყევი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ოფიციანტ მოსელის მიზეზი გავიგეთ. იგი საზოგადოება „კარნაკის" წევრი აღმოჩნდა. ჩვენი მეგობრის ოქროს საათი ეპოვნათ და აქტის შესაბამისად ჩვენს საძებრად გამოეგზავნათ, რომ საღამოზე საათი პატრონისათვის ჩაებარებინათ. ოფიციანტ დიდი მადლობა გადავუხადეთ.

გვერდით ჩავუარეთ ტაძრის რესტავრაციაზე მომუშავე ოსტატებს, ფერდობს ავცდით და ხაჩეფსუტ დედოფლის მიერ აგებულ პიტას ტაძარს მივადექით. აქ სხვა ნაშთთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მუქი ფერის გრანიტისაგან გამოკვეთილი 26 მეტრის სიმაღლის ობელისკი, რომელიც 3500 წლის წინათ არის აგებული, მაგრამ დღესაც ისევე კარგად და დაუზიანებლად დგას.

სიცხემ იმატა. თერმომეტრი ჩრდილში 39 გრადუსს აჩვენებს. სასტუმროსაკენ ვისწრაფვით.

როცა ოდნავ გრილმა ნიავმა დაბერა, ღმერთ ამონის ტაძრის ნანგრევთა დასათვალიერებლად გავეშურეთ. ეს ტაძარი მეორეა კარნაკის ტაძრის შემდეგ თავისი სიდიდით.

6.

დილით 12 მაისს ეგრეთწოდებული ფარაონთა ველი უნდა დაგვეთვალიერებინა. ათრიანი ნავით „ბერნარდით" ნილოსი გადავცურეთ. მეორე ნაპირზე მანქანები გველოდებოდნენ. ჩავსხედით და ფარაონთა ველისაკენ მიმავალ კლდოვან ხეობას შევყევით.

გარშემო ათასეული წლების მანძილზე ელვარე მზის სხივებით გამომშრალი კლდის ნამსხვრევები ყრია. არსად მცენარის ნატამალი არა ჩანს, ყველაფერს სიკვდილის, ნაცრის ფერი ადევს. აქ ფარაონთა ათობით საფლავია. გათხრები ისევ გრძელდება და ვინ იცის, კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ დაფარული რამდენი საიდუმლოება აღმოჩნდება აქ.

ჩვენს წილთაღრიცხვამდე XIV საუკუნის განთქმული ფარაონის ტუტ ან ხამონის სამარხის აღმოჩენა 1922 წელს იმის უტყუარი საბუთია, რომ ეგვიპტის მიწაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის აღმოსაჩენი.

და აი ეს სამარხიც. გვირაბში შევდივართ, იგი დახრილად მიდის მიწის სიღრმეში. უხმოდ, ფეხაკრეფით მივაბიჯებთ რაღაც იდუმალებით მოსილი სამყაროსაკენ, რომელსაც 3.000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შუქი არ უნახავს. უკანასკნელმა უმაღლესმა ქურუმმა საფლავში ჩაიტანა ფარაონის მუმიასთან მისასვლელი გზებისა და ხვეულების ყველა საიდუმლო. ეგვიპტის დამპყრობლებმა, რომლებმაც ყველა სამარხი აიოხრეს, ტუტ ან ხამონის სამარხში შესასვლელი გზა, მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ იპოვნეს. ოსტატურად შენიღბულმა ცრუ სამარხებმა მძარცველები შეცდომაში შეიყვანა. ისინი უკან ბრუნდებოდნენ, მაშინ როცა ნამდვილი სამარხის კარებთან იდგნენ. მხოლოდ არქეოლოგმა კარტერმა დაუფლა ამ ძიების შემდეგ შეძლო აღმოეჩინა კედელი, რომლის იქით ფარაონის ნამდვილი მუმია ესვენა და მთელი მისი სიმდიდრე ხელუხლებლად ელაგა.

უკანასკნელი ვიწრო გვირაბი გავიარეთ და გრძელ დარბაზში შევედით.

ხელმარჯვნივ, უფრო ღრმად ჩასული მომცრო დარბაზი და შიგ ჩადგმული ოქროს სარკოფაგი დავინახეთ. ეს ძირითადი სარკოფაგია, სხვა მისი სარკოფაგები და ერთიმეორეში ჩადგმული ოქროს სამარხი ყველა სხვა ნივთთან ერთად კაიროს მუზეუმშია წაღებული და ტუტ ან ხამონის დარბაზში ინახება.

დიდი ხელოვნებით არის მოხატული სამარხის კედლები. იგი სავსეა ძვირფასი საღებავებით შესრულებული პორტრეტებით, ფარაონის ცხოვრების ამსახველი სურათებით. პორტრეტები უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით თვითონ ტუტ ან ხამონის მთელი სიმაღლით დახატული პორტრეტი და მის წინ მდგომი ვეფხვის ტყავაწამოსხმული უმაღლესი ქურუმის — მთავარსარდლის სურათი, რომელიც ფარაონს ძალაუფლებისა და ძლიერების გამომსახველ ნიშნს აძლევს. ალტაცებას იწვევს სარკოფაგის თავთან კედელზე მიხაკისფერი საღებავებით დახატული 12 მაიმუნის პორტრეტი და სხვა მრავალი დეტალი.

დავათვალიერეთ ფარაონების: სეთი პირველის, რამზეს მეორის, ამონხოტეპის და სხვათა სამარხები. ამ სამარხებში, სხვა მრავალთან ერთად გვაოცებს ჭერის მოხატულობის ოსტატობა — ცის სამყარო, ღმერთების გამოსახულებანი, დიდი ხელოვნებით შესრულებული ბარელიეფები, დაუმთავრებელი ესკიზები, იეროგლიფური წარწერები, რომლებშიც გადმოცემულია ფარაონთა აღსარება და სხვა მრავალი.

ოთხ საათზე მეტი დავყავით სამარხებში, უდიდესი შთაბეჭდილებებით აღსილნი გამოვბრუნდით.

უკვე საგრძნობლად აგრილდა, როცა დედოფალ ხაჩეპსუტის მიერ აგებული ტაძრის ნანგრევს მივუახლოვდით. ეს ტაძარი მიძღვნილი იყო ღმერთ ამონისადმი. ტაძრის კედელზე გამოხატულია დედოფლის მოღვაწეობის მთელი პერიოდი.

ტაძრიდან დაშორებით ორი, მიწიდან ოდნავ ამოჩრილი ხის ძირი მოჩანს. ამბობენ, ეს ხის ძირები ხაჩეფსუტ დედოფლის ტაძრის დროინდელი ხისაო.

მზე გადახრილი იყო, როცა ნილოსი გადავცურეთ. ბინდი ეპარებოდა ფარაონის ველს, მდინარის ნაპირებს. ლუქსორის ტაძრის ნანგრევები სილუეტებივით ჩანდა ეგვიპტის მუქი ლურჯი ცის ფონზე. კაიროში დასაბრუნებლად გემზადებოდით.

7.

ლუქსორიდან კაიროში მიმავალ მატარებელს გზაზე შემოათენდა. ფანჯრიდან გაშლილ ველებს გავხედე, ყველგან შრომა სუფევდა. ბავშვი და მოხუცი, ქალი და კაცი — ყველა თავდადებით მუშაობს. შავით მოსილი ქალები ბოსტნებში მიწას ამუშავებენ. ბავშვები თხებსა და ცხვრებს მიერეკებიან საძოვარზე. იქვე გვერდით პურს ლეწენ, ჩვენებურ კალოს ჰგავს, ხარები კევრს მიათრევენ. ეს სულ სხვა სახის კევრია, უფრო სკამს წააგავს. მიწები მემამულეებისაა. ამ მიწებზე ფელახები მუშაობენ. როგორც გვითხრეს, ამ მუშაობისათვის ძალიან მცირე ხელფასს იღებენ, თვეში დაახლოებით 3-4 ეგვიპტურ გირვანქას.

გამოჩნდა კაირო, მისი ფართო დიდი სადგური. ისევ სასტუმრო „ვიქტორია". ცოტა დავისვენეთ და კაიროს დასათვალიერებლად გავეშურეთ.

კაიროს ძველ ისტორიულ ნაშთებსა და მატერიალური კულტურის ნიმუშებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მუჰამედ ალის დიდი მეჩეთი, კოპტების ეკლესია, ძველი სინაგოგა და კოპტების ხელოვნების მუზეუმი. მუჰამედ ალის მეჩეთი 1830-დან 1848 წლამდე შენდებოდა. ეს არის ერთ-ერთი ბრწყინვალე არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც XIX საუკუნის მიჯნაზე ახლო აღმოსავლეთში აშენდა. მეჩეთი აგებულია თეთრი ეგვიპტური მარმარილოსაგან, ამიტომ მას მარმარილოს მეჩეთსაც უწოდებენ.

მუჰამედ ალის მეჩეთიდან არცთუ ისე შორს, აშენებულია კოპტების ეკლესია. ეს ყველაზე ძველი ქრისტიანული ეკლესიაა ეგვიპტეში. თვითონ კოპტები ეგვიპტელები არიან, რომლებსაც უძველეს დროს ქრისტიანობა მიუღიათ. მათი რაოდენობა ამჟამად ძალიან მცირეა. კაიროში ათი ათასი კოპტი ცხოვრობს. არაბთა შემოსვლამდე კოპტებს თავისი ენა ჰქონდათ. ამ ენაზე ახლა მხოლოდ საეკლესიო ცერემონიები სრულდება.

ეკლესიაში შევდივართ, შიგ სიბნელეა. ორგვლივ ნამწვავი სანთლის სუნი დგას. გარშემო მაღალი სვეტებია ჩამწკრივებული, რომაული კაპიტელით. სულ 12 სვეტია — თორმეტი მოციქულის წარმოსადგენად. საკურთხეველში შესასვლელი სპილოს ძვლით არის მოპირკეთებული და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

გავიარეთ ვიწრო, მუქყიანი ქუჩები, რომლებიც სავსეა უთვალავი გაპირვებულით, ნახევრადტიტლიკანა, მტვერში მოსვრილი ბავშვებით, და ძველ სინაგოგას მივადექით. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სინაგოგაში", — გვეუბნება წარწერა.

ეს ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს სინაგოგებს შორის, — გვიხსნის გამყოლი. იგი აშენებულია 900 წლის წინათ რაბინ აბრაამ ბენ ეზრას მიერ, სინაგოგის შიდა გაფორმება დიდი ხელოვნებით არის შესრულებული. აქვე ძველებური სამლოცველო წიგნები აწყვია.

ისევ ვიწრო მიჩეთულ-მოხვეულ ქუჩებს კოპტების მუზეუმისაკენ მივყვართ. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმია არა მარტო კაიროში, არამედ მთელ ეგვიპტეში, განცვიფრებას იწვევს ამ მუზეუმში წარმოდგენილი კოპტების ცხოვრებასთან დაკავშირებული ნივთიერი ნაშთების მრავალფეროვნება. აქ წარმოდგენილია საგნები უძველესი საუკუნეებიდან დაწყებული ოჯახანსკნელ დროამდე. ძველ პაპირუსზე ნაწერები, მეხუთე, მეექვსე საუკუნის ქსოვილები, უძველესი ხატები, ყოფისა და საკულტო ცხოვრების დამახასიათებელი ნივთები, შვიდასი წლის წინათ არაბულ და კოპტურ ენებზე დაწერილი სამლოცველო წიგნები და სხვ., რაც უსათუოდ დიდი განძია ეგვიპტური კულტურისათვის. სამწუხაროა, რომ ეს შესანიშნავი ძეგლები ჯერ კიდევ დამუშავებული არ არის, მოყვანილი არ არის სისტემაში, რაც ამ ძვირფასი სამუზეუმო მასალების ღრმა შესწავლას აძნელებს.

ვნახეთ კაიროს განთქმული ბაზარი. იგი წარმოადგენს ვიწროქუჩებიანი საკვაჭროების გრძელ წყებას. ყოველ ნაბიჯზე ისმის ძახილი მყიდველთა მისაზიდავად. განსაკუთრებით ბევრია ხილი. ვიყიდეთ ეგზოტიკური პატარა-პატარა ნივთები და სასტუმროსაკენ გამოვეშურეთ. საღამოს 8 საათზე შეხვედრა გვაქვს ეგვიპტის კინომუშაკებთან.

სანამ შეხვედრა გაიმართებოდა, დავათვალიერეთ კაიროს კინოსტუდიები. კინოსტუდიების უმრავლესობა მოთავსებული ვიზას უბანში, ბირამიდების გზაზე. ყველა სტუდია კერძო მესაკუთრეებისაა. თვითეული მათგანი ტექნიკურად კარგად არის აღჭურვილი, თუმცა ჩვენთვის სანიმუშო იქ არაფერია.

ერთ-ერთ სტუდიაში გადაღების დროს ვნახეთ ჰამად ჰამდი, ცნობილი კინომსახიობი, რომელსაც ქართველი მაყურებელი იცნობს ეგვიპტური ფილმებიდან „შეხვედრა ბედნიერებასთან" და „სიცოცხლე და სიკვდილი" — პირველ ფილმში ექიმის, ხოლო მეორეში მამის როლში.

კინომუშაკებთან შეხვედრა სრულ 8 საათზე შედგა ნილოსის ნაპირას, ეგვიპტის ყოფილი მეფის გემზე. შეხვედრაზე მოვიდნენ: ცნობილი მსახიობი და პროდიუსერი მაგდა, რეჟისორი ზულდინ ზულფიკარი, მსახიობები — საბაჰი, აჰმედ მაზჰერი, სალაჰ ნაზმი და სხვები.

მეტად თბილი და გულწრფელი იყო ჩვენი შეხვედრა. მაგდას საქართველოდან წაღებული ჩვენი მთის არწივის ხის პატარა ქანდაკება მივართვი საჩუქრად, დიდად ესიამოვნა, დიდი მადლობა მითხრა. დიდხანს ვისხედით და ვსაუბრობდით თარჯიმანის დახმარებით. მაგდას თხოვნით ღამის 12 საათზე მისი სურათი „ჯამილა" ვნახეთ.

გამოვემშვიდობეთ ჩვენს კეთილ მასპინძლებს. გულში ღრმად ჩაგვრჩა ის შთაბეჭდილებები, რომლებიც ამ ქვეყანაში ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი მოგზაურობით მივიღეთ. შეუძლებელია მათი დავიწყება.

მეორე დილით, 16 მაისს, დავტოვეთ კაირო. კურსი სამშობლოსაკენ ავიღეთ.

კარლო გოგოძე.

კაირო.

1959 წ. მაისი.

* * *

სურათებზე: (ზემოთ) კაიროს გარეუბნის ერთ-ერთი კუთხე. (ქვემოთ) მარცხნივ — სფინქსი მემფისის ნანგრევებთან; მარჯვნივ — სანაპირო ქუჩა ლუქსორში.

ფოტო ავტორისა.

გარათეგი ერთი ქალიშვილის მისამართით

გაზეთ „კომუნისტის" 15 მარტის ნომერში მოთავსებული იყო თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის ახალგაზრდა მუშის კონა მიქაძის წერილი სათაურით: „აი ასეთი ვარ დღეს..." კომკავშირელი ქალიშვილი თავის წერილში მოგვითხრობდა, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ როგორ მიაშურა ფეხსაცმლის ფაბრიკას, როგორ ეუცხოვა მას ყოველივე ფაბრიკაში, შემდეგ როგორ შეეჩვია, შეიყვარა შრომა, როგორ დაეუფლა საკერავ მანქანას..

როგორც ჩანს, კონა მიქაძის წერილმა დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში. მალე თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მისამართით მის სახელზე იწყო დენა წერილებმა. წერილების უმრავლესობა ეკუთვნის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს. ისინი იწონებენ კონა მიქაძის საქმეს, აპირებენ მიჰბაძონ მას.

— „ჩვენ წელს ვამთავრებთ საშუალო სკოლას და გადაწყვეტილი გვაქვს ვიმუშაოთ კოლმეურნეობაში, ჩავებათ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ისევე როგორც თქვენ და მრავალი თქვენი ამხანაგი", — ასე გამოეხმაურნენ კონა მიქაძის წერილს ტყიბულის რაიონის გურნის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ქალიშვილები ლ. ქამუშაძე, მ. ცნობილაძე და ნ. ბეშკენაძე.

ქარელის რაიონის დაბა აგარაში მცხოვრები ქალიშვილი თ. ბერიძე, რომელსაც გასულ წელს საშუალო სასწავლებელი დაუმთავრებია, თავის წერილში იწონებს კონა მიქაძის აზრებს, იზიარებს მის ფიქრებს.

სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის სტურუას სახელობის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე დარეჯან გოჩალეიშვილი სწერს:

„თქვენმა წერილმა დამფიქრა. მე წელს დავამთავრებ საშუალო სკოლას. უკვე ვიცი როგორც უნდა მოვიქცე. მეც ვიმუშავებ, შრომით გამოვადგები ჩემს სამშობლოს".

კიდევ მრავალი წერილი მიიღო კონამ. ბევრს თვითონაც უპასუხა. ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცნეს წერილებით. ბევრი მუშა სთხოვს ქალიშვილს ფოტოსურათი გამოგვიგზავნეო. კონა საგონებელში ჩავარდა.

— სურათი რა საჭიროა, — სიცილით ამბობს კონა, — როცა ჩვენს ფაბრიკაში ერთი პირველთაგანი გავხდები, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ ახლა ვინა ვარ? ჯერ მე მხოლოდ ვსწავლობ, ჯერ ისევ ვეუფლები მანქანას, შრომას, გარემოცვას...

ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეკმაყოფილებინა იმ ახალგაზრდების სურვილი, რომლებიც კონა მიქაძეს ფოტოსურათს სთხოვენ.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სურათი მას გადაუღო შინ მეცადინეობის დროს. ქალიშვილი დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ქართველ კომპოზიტორებს უსმენენ ამერიკაში

ამერიკის სანოტო გამომცემლობის ფირმის „ლიიდს მუზიკ კორპორეიშნ"-ის ცნობით 1958-1959 წლების სეზონში ამერიკაში შესრულდა საბჭოთა კომპოზიტორების მრავალი ნაწარმოები: ს. პროკოფიევის, მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი (მარცხენა ხელისათვის, სოლისტი რუდოლფ სერკინი), ვალსების სიუიტა, დ. შოსტაკოვიჩის მეთერთმეტე სიმფონია და მეორე საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი ლეონარდ ბერნსტაინი), ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის ოთარ გორდელის საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი ლეო ლიტვინი) და ვ. ამირეგვის ორი აზერბაიჯანული მუღამი.

ამ უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა მრავალი გრამოფონის ფირფიტა, რომლებზეც ჩაწერილია საბჭოთა კომპოზიტორების ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩის, დ. კაბალევსკის, რ. გლიერის, ა. ხაჩატურიანის, ყარა ყარაევის, ოთარ თაქთაქიშვილისა და ოთარ გორდელის ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა მსოფლიოში სახელგანთქმული ამერიკელი დირიჟორის ლეოპოლდ სტოკოვსკის დირიჟორობით.

სასიხარულოა, რომ ამ ბოლო დროს სულ უფრო იზრდება ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობა და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში თავიანთი წილი შეაქვთ ქართველ კომპოზიტორებსაც.

გერმანელები ასრულებენ სიმღერას თბილისზე

ვილჰელმ შტროსის კამერული ორკესტრის შემდეგ მაქს გრეგერის საესტრადო ორკესტრი მეორე დასავლეთგერმანული სამხატვრო კოლექტივია, რომელიც თბილისში ჩამოვიდა. ეს საესტრადო ორკესტრი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით, მოსკოვსა და ლენინგრადში კონცერტების გამართვის შემდეგ ეწვია თბილისს და 19 ივნისიდან გამოდის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

საესტრადო ორკესტრს, რომელიც კვალიფიციური პროფესიონალი მუსიკოსებისაგან შედგება, ბევრი ნიჭიერი სოლისტი-ინსტრუმენტალისტი ჰყავს. ასეთები არიან: საყვირზე შემსრულებელი ფრედი ბროკი, ჰანს ეტიელი და ლატარ ნაკატი, დასარტყმელ ინსტრუმენტზე შემსრულებელი — ვილი შმიდტი, პიანისტი შარლოტ დირნჰამერი, თვით ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი — საქსოფონისტი და კლარნეტისტი მაქს გრეგერი და სხვ. სოლისტ-ორკესტრანტებს მხარს უჭერენ სოლისტი-საესტრადო მომღერლები: არნი ბილერი, ფრანკ ფორსტერი, მაურინ რენე, ოდო იორგენი, მარია ჰილვიგი და სოლისტი-მოცეკვავეები — გერმანული კომიკური ცეკვების შემსრულებლები რობერტ ლერბერგერი და ფრანც შლეხტერი.

საესტრადო ორკესტრის პროგრამა ფართო და მრავალფეროვანია: გერმანული (ბავარიული), ვენური და ტიროლური მელოდიების გვერდით რეპერტუარში შედის ფანტაზია იტალიური ხალხური სიმღერების თემაზე, ცნობილი ამერიკელი ზანგი კომპოზიტორის დიუკ ელინგტონის „ქარავანი", ლათინური ამერიკის ხალხთა ცეცხლოვანი მუსიკალური რიტმები, პოპულარული გერმანული, ამერიკული და იტალიური სიმღერები.

თბილისელ მსმენელთა განსაკუთრებულ ინტერესი გამოიწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საესტრადო ორკესტრის მიერ ქართველ კომპოზიტორ რ. ლიფის სიმღერა „თბილისის", აგრეთვე რუსული სიმღერების „მოსკოვური საღამოების", „რიაბინუშკის" და „კატიუშას" შესრულებამ.

დ. გველესიანი.

ყოველი მხრიდან

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 20 ივნისი. (საკ.სეს). გუშინ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველ არაოფიციალურ შეხვედრაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მუშაობის მსვლელობაში მოხდა აზრთა სასარგებლო გაზიარება დასავლეთ ბერლინისა და სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის საკითხზე. მიუხედავად გამოვლინებული უთანხმოებისა და სიძნელეებისა, თქვა მან, მუშაობას, რომელიც თათბირზე შესრულდა, გარკვეული დადებითი მნიშვნელობა აქვს, აზრთა გაზიარებამ საშუალება მოგვცა უკეთ გამოგვეკვლია მხარეების პოზიციები, დაგვეზუსტებინა არსებული უთანხმოების დონე და ეცდილიყავით რამდენადმე დაგვეახლოებინა მხარეთა თვალსაზრისები ამ საკითხთა შესახებ.

საბჭოთა დელეგაციამ ჯაითვალისწინა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია და რეალური ვითარება და 9-10 ივნისს თათბირის განსახილველად შეიტანა ახალი წინადადებანი ბერლინის საკითხზე და სრულიად გერმანიის კომიტეტის საკითხზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, ამ საკითხთა გადაჭრის კარგ საფუძველს იძლევიან.

ჩვენ ვწუხვართ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უარყოფითად მოეკიდნენ ჩვენს წინადადებებს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ დასავლეთ ბერლინში დროებითი შეთანხმების მოქმედების ვადისა და სრულიად გერმანიის კომიტეტის საკითხზე ჩვენი წინადადებების წინააღმდეგ ძირითადი მოსაზრება ემყარება გაუგებრობას, ან ჩვენი წინადადებების არსის არასწორ გაგებას.

ამ წინადადებათა არსი ის არის, რომ რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოები ამჟამად არ არიან მზად დათანხმდნენ დასავლეთ ბერლინში ოკუპაციის რეჟიმის დაუყოვნებლივ და სრულ გაუქმებაზე, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა არ წავიდეს იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ ბერლინში გარკვეული ვადის მანძილზე შენარჩუნებულ იქნას სამი სახელმწიფოს გარკვეული საოკუპაციო უფლებები. ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება შემუშავდეს შეთანხმება დასავლეთ ბერლინის საკითხის დროებითი მოწესრიგების შესახებ, შეთანხმება, რომელიც ამოქმედებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამასობაში სრულიად გერმანიის კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი გერმანიის საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად და დასდეპად და გერმანიის გაერთიანებლად.

ამრიგად, საბჭოთა მთავრობის წინადადებათა არსი ის არის, რომ თანდათანობით აღმოიფხვრას არანორმალური მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, მომზადდეს საზავო ხელშეკრულება და ღონისძიებანი გერმანიის გასაერთიანებლად.

შეთანხმება დასავლეთ ბერლინის დროებითი სტატუსის შესახებ, საბჭოთა მთავრობის აზრით, უნდა შეიცავდეს შეთანხმებას შემდეგის შესახებ:

რომ შემცირდეს დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ჯარები დასავლეთ ბერლინში სიმბოლურ კონტიგენტამდე;

რომ შეწყდეს ძირგამომთხრელი მუშაობა დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ;

რომ დასავლეთ ბერლინში არ იქნეს განლაგებული ატომური და რაკეტული იარაღი.

დასავლეთ ბერლინის მიმართ ამ ღონისძიებებზე უნდა შეეთანხმდეთ კიდევაც პირველ რიგში.

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის საკითხი ჩვენთვის არ არის არც მთავარი და არც პრინციპული. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს-იმას, რომ არ შეიძლება დაუსრულებლივ გაჭიანურდეს გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგება და შენარჩუნებულ იქნას საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში. თუ საბჭოთა მთავრობის მიერ დასახელებული ერთი წლის ვადა მიუღებელია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, შეიძლება შეეთანხმდეთ სხვა ვადაზე, რომელიც მისაღები იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის. თათბირის მსვლელობაში დასავლეთის სახელმწიფოებმა დაასახელეს სრულიად გერმანიის კომიტეტის მუშაობის გარკვეული ვადა — ორნახევარი წელიწადი. ჩვენ დავასახელეთ ერთი წლის ვადა. ახლა საჭიროა ვცადოთ გამოვძებნოთ რაღაც საშუალო და მივაღწიოთ შეთანხმებულ ვადაწყვეტილებას. ჩვენ გვგონია, რომ შეიძლება შეეთანხმდეთ წელიწადნახევრის ვადაზე. დარწმუნებული ვართ, რომ თუ თანხმობა გვექნება მთავარ პრინციპულ საკითხებზე, სიძნელე არ შეგვხვდება საჭირო ვადების შეთანხმებაში.

იმ ვადაში, რომელსაც შეთანხმების მონაწილენი დათქვამენ ორი გერმანული სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლთაგან პარიტეტულ საწყისებზე შემდგარი სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნასთან და საქმიანობასთან.

იმ შემთხვევაში, თუ დათქმული ვადის განმავლობაში სრულიად გერმანიის კომიტეტის ჩარჩოებში ან სხვა გზით არ მოხერხდება გერმანიასთან საბავო მოწესრიგებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხების გადაჭრის გამოძებნა, საგარეო საქმეთა მინისტრების 1959 წლის ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კვლავ დაუბრუნდნენ დასავლეთ ბერლინის საკითხის განხილვას.

შეთანხმების მოქმედების ვადით შენარჩუნებულ იქნება დასავლეთ ბერლინის კავშირ-ურთიერთობა გარე სამყაროსთან იმ სახითვე, როგორც ახლა არსებობს.

როგორც საბჭოთა მთავრობის 9-10 ივნისის წინადადებებში იყო აღნიშნული, იმ ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის, რომლებიც მხარეებისათვის გამომდინარეობენ დასავლეთ ბერლინის დროებითი სტატუსის შესახებ ხელშეკრულებიდან, წინადადებაა შეიქმნას სამეთვალყურო კომიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან.

საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული წინადადებანი აკმაყოფილებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ გამოთქმულ სურვილებს და კარგ საფუძველს წარმოადგენენ ბერლინის საკითხსა და სრულიად გერმანიის კომიტეტის საკითხზე ურთიერთმისაღები შეთანხმებისათვის.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი მთელი ყურადღებით მოეკყრობიან საბჭოთა კავშირის წინადადებებს და მიღწეულ იქნება ურთიერთმისაღები შეთანხმება.

ჟენევა, 20 ივნისი. **(საკ.სეს.კორ).** 19 ივნისს საგარეო საქმეთა მინისტრების მეორე არაოფიციალურ შეხვედრაზე ა. ა. გრომიკომ შენიშვნა გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა მთავრობის აზრით, უნდა შეიცავდეს შეთანხმებას შემდეგის შესახებ:

რომ შემცირდეს დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ჯარები დასავლეთ ბერლინში სიმბოლურ კონტიგენტამდე;

რომ შეწყდეს ძირგამომთხრელი მუშაობა დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ;

რომ დასავლეთ ბერლინში არ იქნეს განლაგებული ატომური და რაკეტული იარაღი.

დასავლეთ ბერლინის მიმართ ამ ღონისძიებებზე უნდა შეეთანხმდეთ კიდევაც პირველ რიგში.

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის საკითხი ჩვენთვის არ არის არც მთავარი და არც პრინციპული. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს-იმას, რომ არ შეიძლება დაუსრულებლივ გაჭიანურდეს გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგება და შენარჩუნებულ იქნას საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში. თუ საბჭოთა მთავრობის მიერ დასახელებული ერთი წლის ვადა მიუღებელია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, შეიძლება შეეთანხმდეთ სხვა ვადაზე, რომელიც მისაღები იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის. თათბირის მსვლელობაში დასავლეთის სახელმწიფოებმა დაასახელეს სრულიად გერმანიის კომიტეტის მუშაობის გარკვეული ვადა — ორნახევარი წელიწადი. ჩვენ დავასახელეთ ერთი წლის ვადა. ახლა საჭიროა ვცადოთ გამოვძებნოთ რაღაც საშუალო და მივაღწიოთ შეთანხმებულ ვადაწყვეტილებას. ჩვენ გვგონია, რომ შეიძლება შეეთანხმდეთ წელიწადნახევრის ვადაზე. დარწმუნებული ვართ, რომ თუ თანხმობა გვექნება მთავარ პრინციპულ საკითხებზე, სიძნელე არ შეგვხვდება საჭირო ვადების შეთანხმებაში.

იმ ვადაში, რომელსაც შეთანხმების მონაწილენი დათქვამენ ორი გერმანული სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლთაგან პარიტეტულ საწყისებზე შემდგარი სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნასთან და საქმიანობასთან.

იმ შემთხვევაში, თუ დათქმული ვადის განმავლობაში სრულიად გერმანიის კომიტეტის ჩარჩოებში ან სხვა გზით არ მოხერხდება გერმანიასთან საბავო მოწესრიგებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხების გადაჭრის გამოძებნა, საგარეო საქმეთა მინისტრების 1959 წლის ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კვლავ დაუბრუნდნენ დასავლეთ ბერლინის საკითხის განხილვას.

შეთანხმების მოქმედების ვადით შენარჩუნებულ იქნება დასავლეთ ბერლინის კავშირ-ურთიერთობა გარე სამყაროსთან იმ სახითვე, როგორც ახლა არსებობს.

როგორც საბჭოთა მთავრობის 9-10 ივნისის წინადადებებში იყო აღნიშნული, იმ ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის, რომლებიც მხარეებისათვის გამომდინარეობენ დასავლეთ ბერლინის დროებითი სტატუსის შესახებ ხელშეკრულებიდან, წინადადებაა შეიქმნას სამეთვალყურო კომიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან.

საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული წინადადებანი აკმაყოფილებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ გამოთქმულ სურვილებს და კარგ საფუძველს წარმოადგენენ ბერლინის საკითხსა და სრულიად გერმანიის კომიტეტის საკითხზე ურთიერთმისაღები შეთანხმებისათვის.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი მთელი ყურადღებით მოეკყრობიან საბჭოთა კავშირის წინადადებებს და მიღწეულ იქნება ურთიერთმისაღები შეთანხმება.

ჟენევა, 20 ივნისი. **(საკ.სეს.კორ).** 19 ივნისს საგარეო საქმეთა მინისტრების მეორე არაოფიციალურ შეხვედრაზე ა. ა. გრომიკომ შენიშვნა გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა მთავრობის აზრით, უნდა შეიცავდეს შეთანხმებას შემდეგის შესახებ:

რომ შემცირდეს დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ჯარები დასავლეთ ბერლინში სიმბოლურ კონტიგენტამდე;

რომ შეწყდეს ძირგამომთხრელი მუშაობა დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ;

რომ დასავლეთ ბერლინში არ იქნეს განლაგებული ატომური და რაკეტული იარაღი.

დასავლეთ ბერლინის მიმართ ამ ღონისძიებებზე უნდა შეეთანხმდეთ კიდევაც პირველ რიგში.

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის საკითხი ჩვენთვის არ არის არც მთავარი და არც პრინციპული. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს-იმას, რომ არ შეიძლება დაუსრულებლივ გაჭიანურდეს გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგება და შენარჩუნებულ იქნას საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში. თუ საბჭოთა მთავრობის მიერ დასახელებული ერთი წლის ვადა მიუღებელია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, შეიძლება შეეთანხმდეთ სხვა ვადაზე, რომელიც მისაღები იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის. თათბირის მსვლელობაში დასავლეთის სახელმწიფოებმა დაასახელეს სრულიად გერმანიის კომიტეტის მუშაობის გარკვეული ვადა — ორნახევარი წელიწადი. ჩვენ დავასახელეთ ერთი წლის ვადა. ახლა საჭიროა ვცადოთ გამოვძებნოთ რაღაც საშუალო და მივაღწიოთ შეთანხმებულ ვადაწყვეტილებას. ჩვენ გვგონია, რომ შეიძლება შეეთანხმდეთ წელიწადნახევრის ვადაზე. დარწმუნებული ვართ, რომ თუ თანხმობა გვექნება მთავარ პრინციპულ საკითხებზე, სიძნელე არ შეგვხვდება საჭირო ვადების შეთანხმებაში.

იმ ვადაში, რომელსაც შეთანხმების მონაწილენი დათქვამენ ორი გერმანული სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლთაგან პარიტეტულ საწყისებზე შემდგარი სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნასთან და საქმიანობასთან.

იმ შემთხვევაში, თუ დათქმული ვადის განმავლობაში სრულიად გერმანიის კომიტეტის ჩარჩოებში ან სხვა გზით არ მოხერხდება გერმანიასთან საბავო მოწესრიგებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხების გადაჭრის გამოძებნა, საგარეო საქმეთა მინისტრების 1959 წლის ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კვლავ დაუბრუნდნენ დასავლეთ ბერლინის საკითხის განხილვას.

შეთანხმების მოქმედების ვადით შენარჩუნებულ იქნება დასავლეთ ბერლინის კავშირ-ურთიერთობა გარე სამყაროსთან იმ სახითვე, როგორც ახლა არსებობს.

როგორც საბჭოთა მთავრობის 9-10 ივნისის წინადადებებში იყო აღნიშნული, იმ ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის, რომლებიც მხარეებისათვის გამომდინარეობენ დასავლეთ ბერლინის დროებითი სტატუსის შესახებ ხელშეკრულებიდან, წინადადებაა შეიქმნას სამეთვალყურო კომიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან.

საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული წინადადებანი აკმაყოფილებენ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ გამოთქმულ სურვილებს და კარგ საფუძველს წარმოადგენენ ბერლინის საკითხსა და სრულიად გერმანიის კომიტეტის საკითხზე ურთიერთმისაღები შეთანხმებისათვის.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი მთელი ყურადღებით მოეკყრობიან საბჭოთა კავშირის წინადადებებს და მიღწეულ იქნება ურთიერთმისაღები შეთანხმება.

ჟენევის თათბირმა შეწყვიტა თავისი მუშაობა 13 ივლისამდე

ჟენევა, 20 ივნისი (საკ.სეს.კორ.). ჟენევის თათბირის დღევანდელ სხდომაზე გადაწყდა შეწყდეს თათბირის მუშაობა და განახლდეს იგი ჟენევაში ამა წლის 13 ივლისს.

წინადადება მუშაობის შეწყვეტის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების სახელით შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კ. ჰერტერმა გუშინდელ მეორე არაოფიციალურ შეხვედრაზე. ა. ა. გრომიკომ ამ შეხვედრაზე განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია მოლაპარაკების განგრძობა და დადებითი შედეგების მიღწევა მუშაობის შეუწყვეტლად, მაგრამ, რამდენადაც კ. ჰერტერი, ს. ლოდი და მ. კუვ დე მიურვილი მოითხოვენ მუშაობის შეწყვეტას, სსრ კავშირის დელეგაციამ უნდა გაუწიოს ანგარიში მათ ასეთ პოზიციას. ამასთან ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, სსრ კავშირის დელეგაციის აზრით, შეწყვეტის ვადა უნდა იქნას მინიმალური.

დღეს დილის 11 საათზე გამართულ თათბირის მოკლე ოფიციალურ სხდომაზე თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ თათბირის მონაწილეთა შორის აზრთა გაზიარების შედეგად გამოთქვა წინადადება შეწყდეს თათბირის მუშაობა და რომ მთა წინასწარი წესით მიაღწიეს შეთანხმებას განახლდეს მუშაობა 13 ივლისს.

გადაწყდა მორიგ სხდომაზე შეიკრიბონ 13 ივლისს 15 საათსა და 30 წუთზე.

შემდეგ თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს შემდეგი კომუნიკე:

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის 1959 წლის 20 ივნისის კომუნიკე

„საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, რომელიც დაიწყო 11 მაისს, მოხდა აზრთა ფართო გაზიარება მონაწილეთა შორის საკითხებზე, რომლებსაც თათბირი იხილავს. მინისტრებს მიაჩნიათ, რომ შემდგომი განხილვა და მოლაპარაკება საჭიროა.

მინისტრები დათანხმდნენ შეწყვიტონ თათბირის მუშაობა და განაახლონ იგი ჟენევაში 1959 წლის 13 ივლისს".

მადლობა უძღვნა რა თათბირის მონაწილეთა სახელით შვეიცარიის მთავრობასა და ჟენევის ხელისუფლებს ხელშეწყობისათვის, რასაც ისინი უწევდნენ თათბირის მუშაობას იმ დარგებში, რომლებშიც მათ ეს შეეძლოთ, და აღნიშნა რა თათბირის ტექნიკური პერსონალის კარგი მუშაობა, ა. ა. გრომიკომ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შემდეგი სხდომა გაიმართება 13 ივლისს 15 საათსა და 30 წუთზე.



იტალიური მოდერნიზებული ძველოფონი. ნახ. გ. ლომაძისა.

„ტუ-114“ პარიზში

პარიზი, 19 ივნისი (საკ.სეს). დღეს მოსკოვიდან პარიზს ჩამოვიდა თვითმფრინავი „ტუ-114“. იგი მონაწილეობას მიიღებს თვითმფრინავმშენებლობის 23-ე საერთაშორისო სალონში, რომელიც აქ მიმდინარეობს. ამ თვითმფრინავის გამოჩენას პარიზში დიდი მოუთმენლობით ელოდნენ, და ათეულ ათასობით პარიზელი აღტაცებით მიესალმა დაშვებულ საჰაერო ხომალდს. პარიზელები, აგრეთვე საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის ავიაციის სპეციალისტები, რომელნიც ახლა საფრანგეთის დედაქალაქში იმყოფებიან, დიდ ინტერესს იჩენენ მსოფლიოში ამ უდიდესი სამგზავრო თვითმფრინავისადმი.

მანძილი მოსკოვიდან პარიზამდე „ტუ-114“ თვითმფრინავმა 4 საათსა და 15 წუთში გაიარა.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 19 ივნისი. (საკ.სეს). ბუდაპეშტის გამომცემლობა „კოშუტმა“ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 37-ე ტომი.

ვარჩელი გოგონა

პატარა სოფელია ვარჩი სოხუმის რაიონში. აქაც ისეთი ლამაზი ბუნება, მომხიბლავი პეიზაჟები იშლება თვალწინ, როგორც მზიური აფხაზეთის მრავალ სოფელში. ჩაი და ციტრუსებია სოფლის შემოსავლის მთავარი წყარო. სტალინის სახელს ატარებს აქაური კოლმეურნეობა, სადაც ერთი წელია რაც წყალმცურავი ფრინველის ფერმაც ჩამოაყალიბეს ამ სოფლის თავკაცებმა. ახლა კოლმეურნეობაში 15 ათასამდე ფრთა იხვია, ფერმა გადაიქცა მეფრინველეობის სარაიონთაშორისო ბაზად, რომელიც ექვს კოლმეურნეობას აერთიანებს.

ამ სურათზე გადაღებულია კომკავშირელი ლიანა ქუთელია. ხელთ ოქროსფერი ჭუკი უჭირავს და კმაყოფილებთან გვიჩვენებს — შეხედეთ რა კარგიაო! ლიანამ შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ დარჩა. როგორც ხედავთ, არა ჰგავს „შარახვეტია“ გოგონას. შრომის სიყვარული შთააგონებს ლიანას იყოს მოწინავე მეფრინველე, თავისი წვლილი შეტანოს საკოლმეურნეო დოვლათის ზრდაში.

ფოტო ი. ტერელაძისა.

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

ამოცანა № 4

რ. თამპარიანი (ბორჯომი).



შამათი ოთხ სვლაში

* * *

ამას წინათ შვეიცარიაში დამთავრდა ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს მთელმა რიგმა გამოჩენილმა მოჭადრაკეებმა. შეჯიბრება მოეწყო ციურიხის საჭადრაკო კლუბის დაარსების 150 წლისთავთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობდნენ გროსმაისტერები მ. ტალი და პ. კერესი.

როგორც ცნობილია, ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა მ. ტალი, რომელმაც მთელი შეჯიბრება მისთვის ჩვეული შემტევი და კომბინაციური სტილით ჩაატარა. ლამაზი და მოხდენილი თამაშით მ. ტალმა ადგილობრივი მოჭადრაკეების უდიდესი სიმპათია დაიმსახურა.

მოგვყავს მ. ტალის მიერ ამ ტურნირში ნათამაშევი პარტია:

ბოტვინიკის დაცვა
მ. ტალი (თეთრები) — **დ. კელერი** (შავები)

1. ∂f3 ∂f6 2. c4 e6 3. ∂c3 d5 4. d4 c6 5. ⚘g5 d:c4 6. e4 b5 (სვლების გადაადგილებით მიღებულ იქნა ბოტვინიკის დაცვა. თავისი შემდგომი სვლით მ. ტალი მოწინააღმდეგეს აიძულებს გადაუხვიოს თეორიულ გზგრძელებას და მის წინაშე რთულ პრობლემებს აყენებს). 7. a4 ♖b6 8. ⚘f6 g:f6 9. ♘e2 a6 10. 0—0 ♗b7 11. d5 (მ. ტალი ამთავრებს ფიგურების განვითარებას და დაუყოვნებლივ იწყებს შეტევას). 11... c:d5 12. e:d5 b4 (როგორც ჩანს, შავები დიდ იმედს ამყარებენ ამ სვლაზე, რადგან ვარაუდობენ მხედრის უკანდახევის შემდეგ მოიგონ პაიკი „d5“ უჯრედზე. მაგრამ მ. ტალი ფიგურის შეწირვით იწყებს შეტევას, რომელსაც ლამაზი კომბინაციები მოსდევს). 13. a5 ♖c7 14. d:e6 b:c3 15. ∂d4 ♘g8 16. ♖a4+ ∂φd8 17. g3 ♗d5 18. g:f4 ∂φc8 19. b:c3 ♗c5 20. e7! (სწორედ ეს ძლიერი პაიკი წყვეტს საბოლოოდ პარტიის ბედს. ჯერ კი არსებობს პაიკის წინ სვლის მუქარა. შეწირული ფიგურის ნაცვლად მ. ტალმა მოიპოვა დიდი უპირატესობა — ფიგურების სრული მობილიზაცია და, რაც მთავარია, შავ მეფეს არა აქვს საიმედო თავშესაფარი). 20. ∂e6 (თუ 20... ♗:e7, ∂:e7 21. ♗:f5) 21. ♗g4+ ∂φb7 (უკვე ცხადი ხდება გამსვლელი „e“ პაიკის მნიშვნელობა. ♗-ს აღება არ შეიძლება, რადგან ამის შედეგად პაიკი ლაბიერად გადის). 22. ∂b5! (ერთ შეწირვას მეორე მოსდევს. თუ 22... a:b6, მაშინ 23. ♖:b5+ და მოგება ადვილია). 22... ♖e5 23. ♘e1 ♗e4 24. ♘ab1 ♘:g4 (24... ♗:b1-ის შემდეგ შავებს ლაბიერის შეწირვით შეეძლოთ იძდგარი წინააღმდეგობის გაწევა). 25. ♘:e4! ♖:e4 (თუ 25... ♘:e4, მაშინ 26. ∂d4+ და პარტია მოგებულია). 26. ∂d6+ ∂φc7 27. d:e4 ♘:e4 28. ♖d1! ♘e5? (უფრო ძლიერი იყო 28... ♘:e7. თუმცა ამ შემთხვევაშიც თეთრებს 29. ♖d5-ის შემდეგ აშკარა უპირატესობა ექნებოდათ. ახლა იწყება ლამაზი, დასკვნითი კომბინაცია). 29. ♗b7+ ∂φ:b7 30. ♖d7+ ∂φb8 31. e8♖+ ♘:e8 32. ♖:e8+ ∂φb7 33. ♖d7+ ∂φb8 34. ♖:c6. შავები დანებდნენ.

მეტად ლამაზი და კომბინაციური პარტიაა, რაც დამახასიათებელია მ. ტალის შებრძოლი სტილისათვის.

მატჩები კალათბურთში

გუშინ თბილისის ციროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაამართა მოსკოვისა და საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების მორიგი ამხანაგური შეხვედრები კალათბურთში.

ქალთა გუნდების შეხვედრის პირველი ტაიმი საქართველოს კალათბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ ანგარიშით 18:16. შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში ინიციატივის მასპინძლები ინარჩუნებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში მათ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და წაგეს შეხვედრა ორი ქულის განსხვავებით 45:47.

საინტერესო იყო ვაჟთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა. შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა საქართველოს კალათბურთელთა სასარგებლოდ 34:27. მეორე ტაიმში სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა ქულა გაუსწრო მოსკოველებს და გიმარჯვა ანგარიშით 62:60.

„რეიმსი“ თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ცნობილი პროფესიონალური გუნდი ფეხბურთში „რეიმსი“; გუნდის შემადგენლობაში არიან 1958 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშების მონაწილენი — მეკარე დომინიკ კოლონა, მცველი რობერ ჟონკე, ნახევარმცველი არმან პანვერნი, თავდამსხმელები — ჟიუსტ ფონტენი, როჟე პიანტონი და ჟან ვენსანი.

ფრანგმა ფეხბურთელებმა თბილისში ჩამოსულმდე ლენინგრადსა და მოსკოვში ადგილობრივ „ზენიტთან“ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებთან 2 საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს და ორივე წაგეს თანაბარი ანგარიშით 0:3.

მესამე მატჩს სტუმრები ჩაატარებენ თბილისის „დინამოსთან“.

ჯილდო — 17 წლის მონადირეს

ლუშეთის რაიონის სოფელ ხორხის კოლმეურნეობის წევრმა 17 წლის იოსებ ჩოხელმა მაღალი მთის „ულრან ტაკეში“ მგლის ბუნაგს მიაგნო. მგლის ლეკვები მაღლა ამოსულიყვნენ და თამაშობდნენ. ადამიანი რომ დაინახეს, მაშინვე ბუნაგში შეცვივდნენ. ბუნაგი ვიწრო იყო და ახალგაზრდამ ვერ მოახერხა გამოერეკა ლეკვები. ბოლოს ტანსაცმელი გაიხადა შეძვრა ბუნაგში და 8 ლეკვი სათითაოდ გამოიყვანა.

მეორე დღეს იოსებ ჩოხელმა ცოცხალი მგლის ლეკვები თბილისში ჩაიყვანა. და ჯილდოდ 4.000 მანეთი მიიღო.

ვ. ხუციშვილი.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ჟენევის თათბირზე

„ყოველი მხრიდან“ — „საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი“ — „ჟენევის თათბირმა შეწყვიტა თავისი მუშაობა 13 ივლისამდე“ — „საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის 1959 წლის 20 ივნისის კომუნიკე“ — „ჟენევის თათბირზე“ — „ჟენევის თათბირზე“ — „ჟენევის თათბირზ